თავი X. 2023 წლის ტრანსფერების შესახებ ინფორმაცია

1. მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის 2023 წლის დელეგირებული უფლებამოსილების შესასრულებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ

მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონის ფარგლებში დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლადფ გამოყოფილი იქნა 490,0 ათასი ლარი, რაც ორგანიზაციული ბიუჯეტის კოდებზე გადანაწილებული იქნა შემდეგნაირად:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 241.0 ათასი ლარის ოდენობით ;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 244.0 ათასი ლარის ოდენობით;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარის ოდენობით;

დაკისრებული ფუნქციების სრულყოფილად შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებით იქნა გამოყოფილი ასიგნება. ასევე 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიზნობრივი ტრანსფერის ნაშთი 10021.51 ლარი მიმართული იქნა 2023 წლის ბიუჯეტში და დაემატა კოდს 010103.

(თანხა ლარებში)

ორგანიზაც. კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	წლიური ასიგნება	წლიური ვალდებულება	გადახდა
00	**ჯამური**			
00	ჯამური	500 021,51	499 343,96	494 992,16
01 01 03	**ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**			
00	ჯამური	254 007,51	253 331,96	251 580,16
2	ხარჯები	254 007,51	253 331,96	251 580,16
2.1	შრომის ანაზღაურება	243 986,00	243 931,96	242 693,60
2.2	საქონელი და მომსახურება	621,51		
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	9 400,00	9 400,00	8 886,56

	ა(ა)იპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			
00	ჯამური	241 014,00	241 012,00	241 012,00
2	ხარჯები	241 014,00	241 012,00	241 012,00
2.5	სუბსიდიები	241 014,00	241 012,00	241 012,00
06 03 04	**სარიტუალო მომსახურება**			
00	ჯამური	5 000,00	5 000,00	2 400,00
2	ხარჯები	5 000,00	5 000,00	2 400,00
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	5 000,00	5 000,00	2 400,00

ორგანიზაციული კოდი **060304**-დან დამტკიცებული სოციალური პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი იქნა 8 მოქალაქის დაკრძალვის ხარჯი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში

2023 წელს გატარებული ღონისძიებების შედეგად მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე აიყვანა 2006 წელს დაბადებული ჭაბუკები რომელიც ჩატარდა 2023 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში და აყვანილი იქნა მარნეულის ტერიტორიული ერთეულებში: ქალაქ მარნეულის ტერიტორიულ ერთეულში 203 მოქალაქე, ხოჯორნის ტერიტორიული ეთეულში 9 მოქალაქე, ახკერპის ტერიტორიული ეთეულში 8 მოქალაქე, წერაქვის ტერიტორიული ეთეულში 2 მოქალაქე, ოფრეთის ტერიტორიული ეთეულში 2 მოქალაქე, კაპანახჩის ტერიტორიული ეთეულში 94 მოქალაქე, სადახლოს ტერიტორიული ეთეულში 110 მოქალაქე, კაჩაგანის ტერიტორიული ეთეულში 62 მოქალაქე, კასუმლოს ტერიტორიული ეთეულში 63 მოქალაქე, შაუმიანის ტერიტორიული ეთეულში 27 მოქალაქე, ქურტლიარის ტერიტორიული ეთეულში 62 მოქალაქე, შულავრის ტერიტორიული ეთეულში 85 მოქალაქე, ალგეთის ტერიტორიული ეთეულში 127 მოქალაქე, თამარისის ტერიტორიული ეთეულში 17 მოქალაქე, წერეთლის ტერიტორიული ეთეულში 34 მოქალაქე, ყიზილაჯლოს ტერიტორიული ეთეულში 88 მოქალაქე, ყულარის ტერიტორიული ეთეულში 61 მოქალაქე, დამია გეურარხის ტერიტორიული ეთეულში 41 მოქალაქე, რაც ჯამში 1095-ია, შესაბამისად მოხდა 1098 პირადი საქმის შეკერვა რისთვისაც დაიბეჭდა პირადი საქმის გარე ყდები, სააღრიცხვო ბარათები, საქართველოს წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობა, საკომუნიკაციო ურთიერთობის შესახებ განაცხადის ფორმა და პირველადი სამხედრო აღრიცხვაზე გამოსაძახებელი უწყება.

2023 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევის პერიოდში მოხდა წვევამდელთა გამოძახება (უწყების ჩაბარებით) მარნეულის გამწვევ კომისიაზე კარდაკარ შემოვლით, მარნეულის ტერიტორიული ერთეულებში: ქალაქ მარნეულის ტერიტორიულ ერთეულში 2176 წვევამდელი, ხოჯორნის ტერიტორიული ეთეულში 73 წვევამდელი, კაპანახჩის ტერიტორიული ეთეულში 1078 წვევამდელი, სადახლოს ტერიტორიული ეთეულში 1117 წვევამდელი, კაჩაგანის ტერიტორიული ეთეულში 489 წვევამდელი, კასუმლოს ტერიტორიული ეთეულში 470 წვევამდელი, შაუმიანის ტერიტორიული ეთეულში 232 წვევამდელი, ქურტლიარის ტერიტორიული ეთეულში 567 წვევამდელი, შულავრის ტერიტორიული ეთეულში 633 წვევამდელი, ალგეთის ტერიტორიული ეთეულში 1496 წვევამდელი, თამარისის ტერიტორიული ეთეულში 159 წვევამდელი, წერეთლის ტერიტორიული ეთეულში 274 წვევამდელი, ყიზილაჯლოს ტერიტორიული ეთეულში 966 წვევამდელი, ყულარის ტერიტორიული ეთეულში 447 წვევამდელი,ახკერპის ტერიტორიული ეთეულში 29 წვევამდელი, წერაქვის ტერიტორიული ეთეულში 30 წვევამდელი, ოფრეთის

ტერიტორიული ეთეულში 20 წვევამდელი, დამია გეურარხის ტერიტორიული ეთეულში 236 წვევამდელი, რაც ჯამში 10481 წვევამდელს შეადგენს. აღსანიშნავია რომ ერთი წვევამდელის გამოძახება ხდება რამოდენიმეჯერ ადგილზე მისვლით.

კარდაკარ შემოვლის შედეგად გამწვევი კომისია გაიარა 2244 წვევამდელმა აქედან მოსაკრებელი 2000 ლარი გადაიხადა 65 წვევამდელმა, ცენტრალურ გამწვევ გამანაწილებელ პუნქტში მოვახდინეთ 393 წვევამდელის ტრანსპორტირება მარშრუტი „მარნეული-თბილისი-მარნეული“ საიდანაც სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად იქნა ცნობილი 165 წვევამდელი და გაგზავნილია სამხედრო სავალდებულო სამსახურში, 2492 წვევამდელი გადამოწმებული იქნა საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, გამწვევ კომისიაზე გამოუცხადებლობის გამო გადაეცა სასამართლოს 64 წვევამდელი რაც დამატებით ღონისძიებების გატარებას და საწვავს მოითხოვს, აქედან 21 წვევამდელი დაჯარიმდა 1000 ლარით.

2023 წელს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურმა აღრიცხვაზე აიყვანა 885 რეზერვისტი და 286 რეზერვისტისათვის გამოიწერა სამხედრო ბილეთი შესაბამისად დაიბეჭდა რეზერვისტის სამხედრო ბილეთი და ნამსახურების ბარათი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ააიპ ´“დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი

ჯანდაცვის ცენტრის“ 2023 - წლის ანგარიში

ცენტრი ასრულებს, როგორც მუნიციპალურ, ასევე სახელმწიფო პროგრამებს:

1. ეპიდზედამხედველობის,
2. იმუნიზაციის,
3. ცხოვრების ჯანსაღი წესის,
4. თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის,
5. მალარიის გადამტანი მწერების საბონიფიკაციო სამუშაოების.
6. მალარიაზე სისიხლის ანალიზების აღება-მალარიოგენულ ზონებში (ქეშალო, ქეშალო I, ქეშალო II, ილმაზლო, ამბაროვკა, კაპანახჩი)
7. 5-10-წლის ბავშვებში ლაბორატორიული გამოკვლევები ჰელმინთებზე.
8. რაბიოლოგიური (ცოფის) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.
9. დედათა - და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამა.
10. ინტეგრირებული ,,C'' - ჰეპატიტის,'' ,,აივ''-იფექციისა და ტუბერკულოზის სკრინინგი.
11. მონიტორინგი სოფლის ექიმების, ბაგა- ბაღების, სილამაზის სალონების.
12. უცნობი ეტიოლოგიით გარდაცვლილთა კვლევები: დიაგნოზის დაზუსტება დაავადებების გენების მიხედვით (ვერბალური აუტოფსია)
13. გრიპზე ვაქცინაციის ჩატარება მ./წლის სექტემბრიდან.
14. ,, ახალი კორონავირუსი (SARS –COV -2) გამოწვეული ინფექციით (COVID 19) დიაგნოსტიკით უზრუნველყოფა'',
15. ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა.

წარმოგიდგენთ ეპიდზედამხედველობით და მედ პერსონალიდან შემოსული ინფექციების რაოდენობას 2023 წლის განმავლობაში.

ტუბერკულიოზი ფილტვის BK+27 გამოკვლეულია 73 კონტაქტირებული პირები.
მათ შორის ორი საჯარო სკოლის მოსწავლეები.

ფილტვგარეშე ტუბერკულიოზი - 1 ჩუტყვავილა - 15, ბრუცელოზი -11, შიგელოზი -1, ჯილეხი - 2, ჰეპატიტი ბ -2, ჰეპატიტი ც - (50 დადებითი შემთხვევა რომელიც დადასტურდა ინტეგრირებული სკრინინგის დროს) ინტეგრირებული ც ჰეპატიტის შიდსისადა ტუბერკულოზზე გამოკვლეულ პირთა საერთო რაოდენობაა 3654 შიდსი- სკრინინგით გამოკვლეული 3654 მათ შორის დადებითია -5, ტუბერკულოზზე სკრინინგით გამოკვლეულა 3654 მათ შორის დადებითია -27, სიფილისის საერთო რაოდენობაა -13, მათ შორის ორსულთა სიფილისი -2 ნოზოკომიური ბაქტერემია 12 საავადმყოფოების შიდა იმფექციები-12 , კვებითი ინტოქსიკაცია -1, გონორია -3, სალმონელოზი -3, ბოტულიზმი - 1, (COVID 19) -დადებითი 2023 წელს 359 , სეზონური გრიპით დააბვადებული ამბულატორიული შემთხვევები არის 1196, სეზონური გრიპით დაავადებულთა მკურნალობა სტაციონარებში 278, ჩატარდა სეზონური გრიპის ვაქცინაცია შესაბამის რისკ ჯგუფებში 700 დოზა ბოტულიზმი -1, ცხოველთა დაკბენების შემთხვევები მკაცრად კონტროლდება როგორც ჩვენი სამსახურის, ასევე ვეტერინარული სამსახურის მიერ ტარდება შესაბამისი ვაქცინაცია ანტირაბიული იმუნოგლობულინით და ანტირაბიული ვაქცინით, რაიონში ფუნქციონირებს ორ კლინიკაში (ავერსი და ჯეოჰოსპიტალსის) ანტირაბიული კაბინეტი რომელიც ყოველთვის არის მომარაგებული ანტირაბიული და შესაბამისი სტრატეგიული მნიშვნელობის ვაქცინებით. გასულ წელს ცოფის ინფექციით გარდაცვალება არ დაფიქსირებულა. ცხოველთა დაკბენის შემთხვევა სულ იყო -1354 და ქვეწარმავლით დაკბენის შემთხვევა -8. არასრული კურსით მკურნალობა ჩაუტარდა 525 პაციენტს და სრული კურსით 829.

იმუნიზაციის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შესრულების ანგარიშს წარმოგიდგენთ დანართი №1-ის მიხედვით, სადაც არის გეგმები 0 - დან 14 - წლის ასაკის ბავშვების და ჩატარებული ვაქცინაცია. განსაზღვრულია აცრების მოცვის პროცენტული მაჩვენებლები.

ცხოვრების ჯანსაღი წესის მუნიციპალური პროგრამა: ვახორციელებთ მონიტორინგს, რაიონის საჯარო სკოლებში , საინფორმაციო მასალებით და საუბრებით - ვატარებთ შეხვედრებს მოზარდებში ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის წინააღმდეგ, სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვის მნიშვნელობაზე, კოვიდ ინფექციაზე, პირბადის ტარებაზე, ხელის ჰიგიენაზე.

თამბაქოს წინააღმდეგ საინფორმაციო მასალების არსებობას ვუწევთ კონტროლს, დაჯარიმებული იქნა რამოდენიმე რესტორანი, სადაც არ იყო სტიკერი და ეწეოდნენ შენობაში თამბაქოს.

მალარიის გავრცელების წინააღმდეგ მუშაობა მიმდინარეობს როგორც დაავადებისის, ასევე დაავადების გადამტანებზე.

აპრილში ჩატარდა პასპორტიზაცია იმ დაჭაობებული ადგილების, ტბების, სადაც მრავლდება მალარიის გადამტანი კოღო ანოფელექსი. სოფელ კაპანახჩში - 3 - დაჭაობებული ადგილი, ილმაზლო -6 - დაჭაობებული ადგილი, ქეშალო - 8, აბაროვკა-3, ქესალო I – 1, ქესალო II -2, სულ აღრიცხული იქნა 120 ჰექტარი.

ამ წყალსაცავებში და დაჭაობებულ ადგილებში მაისის თვის დასაწყისში გაშვებული იქნა - თევზი გამბუზია, (კოღოს ჭუპრებით იკვებება).

პერიოდულად - აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით ხდება დაჭაიობებულ ადგილებში მცირეზომის არხების გაყვანა.

ჩატარდა მალარიოგენულ ზონებში - საკარდაკარო შემოვლებით სახლების, სარდაფების, ფრინველების და ცხოველების სადგომების დეზინსექცია კოღოს მოსპობის მიზნით.

მაისსა და ივნისში - 80000 კვ.მ დაიხარჯა 40კგ სადეზინსექციო საშუალება სოლფაკი.

ივლისსა და აგვისტოში - 80000 კვ.მ დაიხარჯა 40კგ სადეზინსექციო საშუალება სოლფაკი.

სადეზინფექციო საშუალება ,, სოლფაკი ''- მოგვეწოდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და შესაბამისად ვამუშავებთ ზემოდ აღნიშნულ კვ.მეტრებს.

მალარიის დაავადებაზე - პროფილაქტიკური გამოკვლევისბ მიზნით აღებული იქნა მოქალაქეებზე სისხლის სქელი წვეთი - სულ - 630, მალარიით დაავადებული მოქალაქეები არ არიან. მარნეულის მუნიციპალიტეტში მალარიის დაავადება აღარ არის 2007 წლიდან.

5 – 10 - წლის ბავშვებში ჩატარდა ლაბორატორიული გამოკვლევები და გაცემულია ჰელიმინთების სამკურნალო და საპროფილაქტიკო მედიკამენტები მებენდაზოლი - 7371 ტაბლეტი.

ჩატარდა ტრენინგები სილამაზის სალონების მუშაკებთან, მიეწოდათ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები (ტექნიკური რეგლამენტი) მოხდა სალონების ინვენტარიზაცია და ატვირთული იქნა ელექტრონულ მოდულში . ამავდროულად - მოგვიანებით ჩავატარეთ მონიტორინგი ზედამხედველობის თანამშრომლებთან ერთად, მიეცათ გონივრული ვადა დარღვევების გამოსასწორებლად,

დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს ორსულების ლაბორატორიულ გამოკვლევებს ინფექციურ დაავადებებზე: სიფილისი შიდსი, ,,C''- ჰეპატიტის ,,B''-ჰეპატიტის დაავადების შემთხვევების დროს ორსულები გადიან მკურნალობას , ახალშობილებს უტარდებათ იმუნოგლობულინით იმუნიზაცია.

გასულ წელს ჩატარდა სოფლის ექიმების და სოფლის ექთნების მონაწილეობით ინტეგრირებული სკრინინგი C ჰეპატიტის, აივ ინფექციის, ტუბერკულოზის გამოსავლენად.

გაფორმებულია 51 - კონტრაქტი, გამოკვლეულთა საერთო რაოდენობაა ,,C''- ჰეპატიტზე -2955, ,,აივ''- ინფექციაზე-2955, ტუბერკულოოზზე-2955, ,,C''- ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევებია 24 - ახალი შემთხვევა. ,,აივ''-ინფექციაზე დადებითი შემთხვევა -1, ტუბერკულოოზზე საეჭვო შემთხვევა -21.

ინტეგრირებული სკრინინგის მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების მიზნით ცენტრთან შექმნილია 3-ჯგუფი, რომელიც თვეში 1- ახორციელებს ჩატარებულ სკრინინგის მონიტორინგს.

ჩატარდა 20 სექტემბრიდან ვირუსული ინფექციების (გრიპი) 4 კომპონენტიანი ვაქცინით იმუნიზაცია რისკ ჟგუფებში (მედ პერსონალი, შაქრიანი დიაბეტიანები, დიალიზზე მყოფი, პედაგოგები, შინაგან საქმეთა სამინისტროს და იუსტიციის სახლის წარმომადგენლები, ქრონიკული დაავადებებით მყოფი მოქალაქეები, 65 და 65 წელზე მეტი ასაკის პირები) ვაქცინა გადაცემულია ყველა სოფლის ექიმზე პოლიკლინიკებზე ვაქცინაცია ტარდება უფასოთ. დღევანდელი მდგომარეობით ჩატარდა 850 მოქალაქეზე.

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მარნეულისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის შესახებ

2023 წლის კაპიტალური ბიუჯეტის შესრულება (ტრანსფერი)												(თანხა ლარებში)	
გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია													
№	პროექტის დასახელება	მთავრობის განკარგულება	ხელშეკრულება		სულ ფაქტი ჯამი	ფაქტი წინა წლის	ფაქტი 2023 წლის			2024 გეგმა	ტრანსფერის ნაშთი	შენიშვნა
			ნომერი, თარიღი	თანხა			სულ	ადგილობრივი ბიუჯეტი	ტრანსფერი			

1	ქ. მარნეულში აღმაშენებლის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 209; თარიღი: 04/10/2022	2 100 101	886 564	420 020	466 544	31 122	435 422	1 213 537	159 674	
2	სოფელ ბაიდარის და მოლაოღლის შიდა გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა	№321, 22,02,2022 წ.	ხელშეკრულება #: 38; თარიღი: 28/02/2023	655 037	655 037	0	655 037	32 748	622 289			დასრულებული
3	სოფელ წერაქვისა და სოფელ სიონის შიდა გზებზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 57; თარიღი: 11/04/2023	378 458	378 458	0	378 458	250 489	127 969			დასრულდა
4	ქ. მარნეულში დ. მაღალაშვილის ხიდის რეაბილიტაცია	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 83; თარიღი: 05/05/2023	1 878 333	1 058 292	0	1 058 292	20 519	1 037 773	820 041	168 846	მიმდინარე
სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია												
5	სოფ. წერაქვში წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 287; თარიღი: 20/12/2022	856 306	834 038		674 429	228 672	445 757			დასრულებული
		№75, 17,01,2022				77 858	81 751	3 893	77 858			დასრულებული
6	სოფ. საბირქენდში წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 245; თარიღი: 14/11/2022	2 403 661	1 475 696	511 877	963 819	45 026	918 793	927 965	172 727	მიმდინარე
7	სოფ. ჩანახჩში წყალმომარაგების სისტემების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 28; თარიღი: 15/02/2023	825 000	791 963		791 963	39 598	752 365			დასრულებული
8	სოფელ საბირქენდის წყლის მაგისტრალური მილსადენის ქსელის მოწყობის სამუშოების სახელმწიფო შესყიდვა	№2475, 29,12,2022	ხელშეკრულება #: 261; თარიღი: 13/11/2023	1 793 957	760 526		760 526	60 526	700 000	1 033 431		მიმდინარე
საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა–რეაბილიტაცია												
9	ქალაქ მარნეულში „კიდევაც დაიზრდებიან“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერის გამწვანების სამუშაოების შესყიდვა	№810,01,05,2023	ხელშეკრულება #: 127; თარიღი: 07/07/2023	618 349	427 672		427 672	243 342	184 330			დასრულებული

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა												
10	სოფელ ყიზილაჯლოს საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტ. დარჩენილი სამუშაოების და ბაგაბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები	№2685,31, 12,2020	ხელშეკრულება #: 241; თარიღი: 24/10/2023	458 023	132 944		132 944	54 504	78 440		37 355	მიმდინარე
	სულ			**11 967 225**	**7 401 190**	**931 897**	**6 309 684**	**1 006 546**	**5 303 138**	**3 994 974**	**538 603**	